სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბრძანება № NCDC 9 23 00000011

ქ. თბილისი 20/01/2023 **წელი**

„2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის № 609 დადგენილებით განსაზღვრული „დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგის“ სახელმწიფო პროგრამის „კიბოს სკრინინგის კომპონენტის“, „იმუნიზაციის“ სახელმწიფო პროგრამის, „უსაფრთხო სისხლის“ სახელმწიფო პროგრამის, „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის, „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის ახალშობილთა სმენის დიაგნოსტიკური კვლევის“, „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID-19-ის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის და „ეპიდზედამხედველობის“ სახელმწიფო პროგრამის „B და C ჰეპატიტზე ეპიდზედამხედველობის“ კომპონენტის ფარგლებში ვაუჩერის სახით სამედიცინო სერვისის მიმწოდებლად მსურველთა სარეგისტრაციო ფორმების, მათი შევსების წესის და საანგარიშგებო დოკუმენტაციის და მათი შევსების წესის დამტკიცების თაობაზე

„2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის №609 დადგენილების და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის “გ” ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს, „2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის № 609 დადგენილებით განსაზღვრული, ვაუჩერის სახით სამედიცინო სერვისის მიმწოდებლად მსურველთა სარეგისტრაციო ფორმები, მათი შევსების წესი და საანგარიშგებო დოკუმენტაცია და მათი შევსების წესი თანდართული დანართების შესაბამისად:

ა) „დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგის“ სახელმწიფო პროგრამის „კიბოს სკრინინგის კომპონენტი“ **(დანართი#1);**

ბ) „იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა“ **(დანართი #2);**

გ) „უსაფრთხო სისხლის“ სახელმწიფო პროგრამა **(დანართი #3);**

დ) „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის ახალშობილთა სმენის დიაგნოსტიკური კვლევის“ კომპონენტი **(დანართი #4);**

ე) „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID 19) დიაგნოსტიკის კომპონენტი **(დანართი #5);**

ვ) „ეპიდზედამხედველობის“ სახელმწიფო პროგრამის „B და C ჰეპატიტზე ეპიდზედამხედველობის“ კომპონენტი **(დანართი #6);**

2. „ეპიდზედამხედველობის“ სახელმწიფო პროგრამის „B და C ჰეპატიტზე ეპიდზედამხედველობის“ კომპონენტის ფარგლებში სერვისის მიმწოდებლად რეგისტრირებული დაწესებულებების ხელახალი რეგისტრაციის პროცესი განხორციელდეს 2023 წლის პირველ თებერვლამდე.

3. დაევალოს ცენტრის იურიდიულ სამმართველოს უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე – www.ncdc.ge.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი).

გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი
თამარ გაბუნია

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად